ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №209

(კონსოლიდირებული ტენდერი CON180000015)

ქ. თბილისი **13 ნოემბერი 2018 წ**

ერთი მხრივ - **სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“** (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის **სოფიო გორგოძეს** სახით და მეორე მხრივ - შპს „თეგეტა მოტორსი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი) წარმოდგენილი უფლებამოსილი პირის - გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თეიმურაზ დარისპანაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის, მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების 2018-2019 წლების საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2018-2019 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 ივლისის №1411 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „სატენდერო კომისია“ - „2018-2019 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 ივლისის №1411 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.

1.8 „ფორ-სმაჟორი“ - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა“ და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავები, რომლებიც აკმაყოფილებს კონსოლიდირებული ტენდერის (**CON1800000015**) სატენდერო დოკუმენტაციითა და მისი დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის 4 (ოთხი) ცალი საბურავი, დანართი №1-ის შესაბამისად.

2.3 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: **CPV-34351100, მსუბუქი ავტომანქანების საბურავები.**

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1

ა) ხელშეკრულების ღირებულებაა: 1440 (ერთი ათას ოთხას ორმოცი) ლარი, დანართი №1-ის შესაბამისად.

3.2 საბურავების ფასი მოიცავს მათი მონტაჟის და ბალანსირების ღირებულებას.

4. საქონლის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით ნაკისრ მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურების გაწევა.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.

4.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარებისაქტის გაფორმების შემდგომ.

4.4 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გ) პასუხი აგოს საბურავების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

5.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბ) განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.

გ) სატენდერო კომისიას მიმართოს შესაბამისი დასაბუთებით საბურავების ხარისხის გაუარესების თაობაზე. კომისიას უფლება აქვს, მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

დ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

ე) საქონლის მიწოდების ვადის 5-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

6.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.5%.

6.3 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბურავების ღირებულების 20%- ის ოდენობით.

6.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3 .მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

8.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

9. სხვა პირობები

9.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ... ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი” **მისამართი:** ქ.თბილისი, ე მინდელის ქ. 9 **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22 ხაზინის ერთიანი ანგარიში ა/ა 707627112 ს/კ: 202 198 727 **დირექტორი** **სოფიო გორგოძე**	**შპს „თეგეტა მოტორსი“** ს/კ: 202177205 მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5 ტელ: 224 44 44; 591408550; 591408552. ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE80TB 0600 0000 2446 7853 **გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე** **თეიმურაზ დარისპანაშვილი**

ეროვნული გამოცდების ეროვნული ცენტრი · LEPL NATIONAL ASSESSMENT AND EXAMINATIONS CENTER · 202198727

TEGETA MOTORS HOLDING COMPANY
#5, 12 km, D. Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi, Georgia. ID: 202177205
+99532 224-44-44 www.tegetamotors.ge
გაყიდვების დეპარტამენტი

დ ა ნ ა რ თ ი N1

წინამდებარე დანართი გამოიყენება მხოლოდ ჩვენს მიერ 2018 წლის 13 ნოემბერს დადებულ ხელშეკრულებასთან (სარეგისტრაციო N209) ერთად.

ზომა	რაოდენობა	ბრენდი	მოდელი	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი	მიწოდების თარიღი
R17 265/65	ოთხი	Bridgestone	DMV2	360	1440	31.12.2018

„შემსყიდველი“

სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი"

ს/კ: 202 198 727

დირექტორი

სოფიო გორგოძე

„მიმწოდებელი“

შპს თეგეტა მოტორსი

ს/კ: 202177205

გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

თეიმურაზ დარისპანაშვილი

TEGETA MOTORS HOLDING COMPANY

მიღება-ჩაბარების აქტი 209

2018 წლის 13 ნოემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №209-ით
გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ

ქ. თბილისი *13 ნოემბერი 2018 წელი*

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში–შემსყიდველი) წარმომადგენლები, ხოლო მეორე მხრივ შპს „თეგეტა მოტორსი"-ს წარმომადგენელი (შემდგომში–მიმწოდებელი) ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ ხელშეკრულება №209-ის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, შემსყიდველის ბალანსზე რიცხული მსუბუქი ავტომანქანისათვის (mitsubishi/pajero 3.5, სახ.ნომ. LLD 778) მიაწოდა საბურავები თანმდევი შეცვლის მომსახურებით (მომსახურების ღირებულება შედის პროდუქციის ღირებულებაში), კერძოდ:

№	დასახელება	რაოდენობა	ერთ.ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	საბურავი **Bridgestone DMV2** **R17 265/65**	4 ცალი	360	1440
	ჯამი, დღგ-ს ჩათვლით			1440

ჯამური ღირებულება შეადგენს ***1440 (ერთი ათას ოთხას ორმოცი) ლარს***, დღგ-ს ჩათვლით.

ხარისხის კონტროლის (ინსპექტირების) დროს ხარვეზები არ გამოვლენილა.
მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ, რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველს.

შემსყიდველი:

სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები

ბ. დონღვანი

ვ. კუპრაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „თეგეტა მოტორსი"-ს წარმომადგენელი

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
#5, 12 km, D. Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi, Georgia. ID: 202177205
+99532 224-44-44 www.tegetamotors.ge
გაყიდვების დეპარტამენტი